

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ და შპს „ALTER ENERGY-ს“ შორის 2012 წლის 27 აგვისტოს დადგებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

ჭ/გ/ 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

მეორე მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომ „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამხოვაძის მიერ, და

მესამე მხრივ, შპს „ALTER ENERGY“, საიდენტიფიკაციო კოდი: 445406515 (შემდგომ „კომპანია“), ს/კ 445406515, წარმოდგენილი დირექტორის, ზურაბ მერაბიშვილის მიერ


შემდგომ მთავრობა, ესკო და კომპანია ერთობლივად იწოდებიან როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე როგორც „მხარე“, თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეიცვალოს ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართით N4 განსაზღვრული გრაფიკი და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართის N1 სახით.
2. ურთიერთგაგების მემორანდუმის 5.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 16 წლის განმავლობაში.“
3. ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.14 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კომპანიის მიერ მთავრობისთვის გადაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა შეთანხმებით გაგრძელდება ამ მემორანდუმის დანართით N4 გათვალისწინებული რომელიმე ვადა, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება ან იმავე პირობებით, ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. კომპანიის მიერ ასეთი მოთხოვნის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია აღნიშნული საბანკო გარანტიის გამცემი ბანკისგან სრულად გამოითხოვოს იმ დროს მოქმედი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.“
4. კომპანია ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ურთიერთგაგების მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი საბანკო


გარანტიების (306,000.00 აშშ დოლარი - ოქროპილაური ჰესი და 306,000.00 აშშ დოლარი - გოგინაური ჰესი) მოქმედების ვადა გააგრძელოს 2018 წლის 1 იანვრის ჩათვლით.

5. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, მთავრობა აცხადებს, რომ კომპანიის მიმართ მემორანდუმით გათვალისწინებულ სანქციებს გამოიყენებს, იმ შემთხვევაში თუ კომპანია დაარღვევს წინამდებარე შეთანხმების დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაში მიღების ვადებს.
6. ურთიერთგაგების მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების, მე-4, მე-7 და მე-8 მუხლები ძალაში შედის შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, ხოლო სხვა მუხლები ძალაში შევა კომპანიის მიერ ამ შეთანხმების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულებისთანავე.
8. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“



შეთანხმების დანართი N1

ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართი N4

N	სახელწოდება	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	კსპლუატაციაში მიღება
1.	ოქროპილაური ჰესი	01.09.2012	10.10.2017
2.	გოგინაური ჰესი	01.09.2012	10.10.2017



საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

ამონანერი მეწარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16116806,
06/09/2016 16:13:27

სუბიექტი

საფირმო სახელნოდება: შპს ALTER ENERGY

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 445406515

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 17/02/2012

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ., №12/14, სართული 2

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: alterenergygeorgia@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის
პროცესის მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 61001001571, ფრიდონ ქათამაძე, რუსეთის ფედერაცია,

საქართველო

- დირექტორი - 01008003824 , ზურაბ მერაბიშვილი, რუსეთის ფედერაცია,
საქართველო

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
855800628, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფაუერ ოფ ნეიტერ, ნიდერლანდები, , ,	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთების
გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონანერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონანერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქშედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№1803 2016 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „Alter Energy“-ს შორის 2012 წლის 27 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „Alter Energy“-ს შორის 2012 წლის 27 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



N 4765

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010170025835316

საქართველო, ქ. თბილისი, 0114 კომისარის ქ. 24 ა. ტელ: 2 40 51-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 ა. გეგამაშვილი სტ., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5192

04 / აგვისტო / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის შოთავალევის,
ბაზის ინაკლი ხალაძეს

შეკვეთი ითავსრდეთ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განთხოვდა ოქტომბერი 2016 წლის 22 ივნისის №04/2903 წერტილით
წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის სს „ენერგეტიკის მინისტრის მიერთებულ თქმითი მიმღებლის“ და
სს „ALTER ENERGY“-ის მიერთი 2012 წლის 27 აგვისტოს დადგენერირებულ ურთიერთგაუგის მტკრანდუში ცელითებების
შეტანის შესახებ შეინსტანების პროცესი, რომელისა და კანონმდებლობური გაცნობებით შემდგა:

1. შეინსტანების მუ-4 მუხლის თანახმად დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის არ ექვემდებარება კომისარის მიმღები პლატფორმის გადის დარღვევის გამო იმ პირობის,
რომ კომისარი ხასიათისადემ უზრუნველყოფის წინამდებრე შეინსტანების და მტკრანდუშის პირობების
განვითარებისა და დაცვის იმ კომისარის მიერთებულ მიზანების მიზანებით მუხლით მუხლით მთავრობის
დამსახურების უზრუნველყოფის მიმღების მიერთებულ გამოვლინების გადებს. მუგამისა, თუმცა ასევე დებულება ვარ
უზრუნველყოფის მიმღების მიერთებულ გამოვლინების მიმღების შეკრულებლობის მტკრანდუში,
კომისარის პარაგანებებისა და კონტაქტის დარღვევის მაღაზი შეკვეთი არ ხდება და მომდევ კომისარის
შემოხარებულისა გამომდინარე, მიზანშეწინობის მიზანშია. შეინსტანების მუ-4 მუხლის დარღვები
კონკრეტული იქნას განსახვებული პასუხისმგებლობის მიყვლობა და მისი ასაზღაურების წესი. რომელიც
კომისარის არავა მუხლით გამოვლინების მიმღების დარღვევის შემოვევაში დამტკრის უნდა დაკავშიროს,
ასევე, საქართველოს მთავრობის მიერთებული სხვა ფილიანი გამოყენების შესაძლებლობა.

2. ასევე შეინსტანების თანახმად წარმოდგენილი ცელითებებისათვის გამომდინარე და ისთვის
ხროების გადახდის შესვლის შემთხვევაში, საჭირო იქნება ასევე, ურთიერთგაუგის მტკრანდუშის 5.1
მუხლით განსახვებული საქმით გადის კორექტობება და შესაბამისობაში მოყვანა ცელითებებით განსახვრულ
ვალებით.


3. დამტკრის შექმნავთ. რომ შეინსტანების მოყვანი შეიცავს რამდენიმე ტუნიკური ხილითის ხარჯებს,
კომისარი: ა) შეინსტანების შესავალში მთავრობის მიერთებული კომისარის თუ სხვადასხვა სარღენტულოებით კოდი; ბ)
შეინსტანების პლატფორმის 3.14 მუხლის ას ასაკდოსტინებებს დანართი 4-ით დარღვებით გადების გაფრთხევის
შესახებლობას, უსამასადა, ხსენებების მიუხლის გაფრთხევის 3.14 მუხლზე, როგორც ვადის გაფრთხევის
ხაფიებისას მითითება, საჭიროების კონტენტის მისამართში, ასასან, აქვთ შევნიშვნა, რომ ხელშეკრულების პრეცედენტი
ხერითი არ ითვლიანისტინებს გადების გაფრთხევის შესახებლობას, რომ გამო „ვადების გაფრთხევაზე“
მითითება, საფრთხელის მიღებულია; გ) შეინსტანების პლატფორმი ას შეიცავს მარგალიტებებით სამართლის
განსახვებული მუხლის, შესაბამისად, შეიანბების ხელმოწერის დღიდან დაღმი უნდა მოიდეს მისი მუ-7 მუხლით,
რომ შეინსტანების პლატფორმა, როგორც მტკრანდუშის განუყოფელ ნაწილზე, გავრცელდეს მტკრანდუშის
მარგალიტებებით სამართლი

ძალუსცემით,

გ. ლაშვილიძე

მინისტრის მოადგილი

გონია ლოროვანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/979
19/08/2016

979-01-2-201608191316



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონი ირაკლი ხმალაძეს

ბატონი ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 18 აგვისტოს #04/3379 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „Alter Energy“-ს შორის 2012 წლის 27 აგვისტოს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ზაზა დვალიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული ცისამართის ქმნილობის მინისტრი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახლო ანსექტონის მიერ 07.08.2006; ID CODE 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036